

2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის #65 დადგენილების და განისაზღვრება 5300,4 ათასი ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში განხორციელდა 9 ცვლილება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, არსებული ნაშთის გადანაწილებით, ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, გამოყოფილი თანხის ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში წლიური საგეგმო მაჩვენებელზე მეტობით შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვა და პრიორიტეტებზე გადანაწილება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 12 135 4 ათასი ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 1020,3 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსულია 9936,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 99, 2% ით. მათ შორის ქონების გადასახადის გეგმა იყო 429,4 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 429,4 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100,4% ით.

გრანტის სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 9 235, 5 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსულია 9144,2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 99,0 %, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერის გეგმა იყო 4592,4 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 4592,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 100 % ით. მიზნობრივი ტრანსფერის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა იყო 158, 0 ათასი ლარი . ფაქტიურად შემოსულია 153,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 97,2 % ით. სპეციალური ტრანსფერის გეგმა იყო 1000,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 940,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 94,1 %-ით. სხვა ტრანსფერების გეგმა იყო 151,5 ათასი ლარი. შემოსულია 151,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 100 % ით.

სხვა შემოსავლების გეგმა იყო 191,6 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 198,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 107,4 % ით.. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის გეგმა უნდა შემოსულიყო 40,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 62,9 ათასი ლარი . გეგმა შესრულდა 157,3 % ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 9,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 189,2 %-ით. ჯარიმებით ,სანქციებით და საურავებით შემოსავლის გეგმა იყო 40,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსავალი 11,4 ათასი ლარი. ანუ გეგმა შესრულდა 24,4 % ით. შემოსავლების ამ ნაწილში დაბალი მაჩვენებელი მიანიშნებს არასწორ დაგეგმვას. ჩვენი რეკომენდაციით ამ მუხლში უნდა მოხდეს შემოსავლების სწორი დათვლა.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 25,6 ათასი ლარი. გეგმა იყო 30,0 ათასი ლარი. გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოსთვის დაიხარჯა 623,10.ლარი, ხოლო აღმასრულებელი ორგანოს შენახვისთვის დაიხარჯა 1367,9, ათ.ლარი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ უნდა მოიცავდეს , წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერას და მიღებულ შედეგებს.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 7601.1ათ.ლარი და დაფინანსდა 4392,6 ათ. ლარით. მათ შორის :გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა დაფინანსდა 1834,9 ათ. ლარით. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 118,0 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 1208 ათ. ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია

დაფინანსდა 18,4 ათ. ლარით. ეს იმ პერიოდში , როცა მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობაში წყლის დეფიციტია, ეს თანხა თითქმის უმნიშვნელოა .საჭიროა ამ საკითხს მეტი ყურადღება დაეთმოს. ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობისა და ექსპლოატაციის ხარჯები დაფინანსდა 202,4 ათ.ლარით. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 185,7 ათ.ლარი. კომუნალურ მომსახურებაზე დაიხარჯა 415,6 ათ.ლარი. ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 209,5 ათ.ლარი, იმ ფონზე როცა სახელმწიფო აუდიტი მიგვითითებს , რომ მოხდეს საშტატო ერთეულის ოპტიმიზაცია, მიუხედავად ამისა ზოგიერთ ა(ა)იპ-ში ხდება სუბსიდიების გაზრდა. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ მშენებლობა რეაბილიტაციას, ამ სფეროში დაიხარჯა გეგმაზე 3,208,5 ათასი ლარით ნაკლები, რაც დააკლდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებს. მათ შორის კულტურულ და სპორტულ ობიექტების მშენებლობას ,სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს, აღნიშნული თანხის ათვისება შექმნიდა მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილებს და თანხის აკუმულირება მოხდებოდა ადგილზე.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 99,9 %-ით (გეგმა 656,0 ათ.ლარი, ფაქტი 655,7 ათ.ლარი) მათ შორის : სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 99,9%-ით 9. გეგმა 600,5 ათ ლარი, ფაქტიურად 600,2 ათ ლარი.) რაც შეეხება სკოლამდელ განათლებას კომისიის აზრით სახელფასო ფონდი აუცილებლად მოსაწესრიგებელია. წინა წელს მოხდა მცირედით გაზრდა აღნიშნული ხელფასების, მაგრამ ეს მიზეზულია იმ დატვირთვასთან რასაც სკოლამდელი განათლების აღმზრდელებს აქვთ.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის ხარჯები დაფინანსდა 99,0 %, გეგმა 417,0 ათ. ლარი ფაქტი 412,7 ათ. ლარი. მათ შორის საზოგადოებრივ ჯანდაცვა მომსახურება 99%. ოჯახური და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 99,3% (გეგმა 89,3 ათ. ლარი ფაქტი 89,2 ათ .ლარი. უფასო სასადილოები დაფინანსდა 99,7% ,გეგმა 94,0 ათ. ლარი ფაქტი 93,7 ათ. ლარი. ძალიან კარგია ის ფაქტი, რომ სოციალური ჯანდაცვის პროგრამა მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია, მაგრამ საჭიროა მოხდეს ერთჯერადი გაცემის წესის გადახედვა . საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მიაჩნია, რომ ფინანსური რესურსების სწორი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერამ საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი ობიექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე ,ბიუჯეტი იმგვარად დაიგეგმოს ,რომ არსებული თავისუფალი ნაშთი და ადგილობრივი შემოსავლები გამოყენებული იქნეს მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის #16 დადგენილებით დამტკიცებული ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 90-ე მუხლის- „ბიუჯეტის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება „ მე-2 პუნქტის შესაბამისად , ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად სავალდებულოა გამოქვეყნდეს დამოუკიდებელი აუდიტის შემოწმების მასალები და დასკვნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არ განუხორციელებიათ დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა, მაგრამ სახელმწიფო აუდიტის მიერ შედგენილი და დამტკიცებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-17 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების აუდიტი, (11.01.2019წ #8136) სადაც დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი ხარვეზები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს აღნიშნული აუდიტის დასკვნის განხილვა და მიღებული რეკომენდაციების შესრულებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება კონტროლის მიზნით.